ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-21

„23" იანვარი 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების (დასპონსორების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" განთავსებული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებისა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საჭიროა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების რეკლამირების მომსახურებით სარგებლობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული მომსახურების ექსკლუზიური მომწოდებელია სოციალური ქსელი „ფეისბუქი". საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 3^3 პუნქტის, 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილების მე-13 და მე-14 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განცხორციელება შეათანხმოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების გატარება.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, თანხომობის მიღების შემდგომ, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციისა და აქტივობების რეკლამირების (დასპონსორების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს:

ა) 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსახორციელებელი შესყიდვისთვის განკუთვნილი თანხის გადატანა საამისოდ გახსნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ბიუჯეტის პროგრამით „საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება“ (კოდი: 07 02 04) გათვალისწინებული ასიგნებებიდან;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მოთხოვნისა და მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს ვლადიმერ ჭიღლაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080173427654418

 # 383

02 / თებერვალი /
2018 წ.

ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 31 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მერიის SMP180000338 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე განთავსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, რაიონული გამგეობებისა და მერის ოფიციალური გვერდების პოპულარიზაცია (CPV 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნულ სოციალურ ქსელს საქართველოში, მათ შორის თბილისში, ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, „Facebook"-ის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომხმარებლისთვის გაცნობა, რაც „Facebook"-ის რეკლამირების მომსახურებით იქნება შესაძლებელი.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე „Facebook"-ის, აღნიშნული მომსახურება, მოცემული შესყიდვის მიზნებისთვის, მის გამოყენებას უალტერნატივოს ხდის.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, სხვა სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ,,Facebook“-ის, აღნიშნული მომსახურება, მოცემული შესყიდვის მიზნებისთვის, მის გამოყენებას უალტერნატივოს ხდის.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ სამუშაოს შესრულებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მერიის SMP180000338 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე